სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N189

ქ. თბილისი „23“ „08“ 2013 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ზაზა რუხაიას სახით და მეორე მხრივ, შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, ლაშა მიგინეიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტით მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ საჭიროებისათვის 2 (ორი) ცალი აკუმულატორის (CPV კოდი 31430000) გამარტივებული შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 282 (ორასოთხმოცდაორი) ლარს.

3.2. აკუმულატორი A-mega 74 A/h 0 278x175x190 – 1 (ერთი) ცალი, ღირებულებით 152 (ასორმოცდათორმეტი) ლარი.

3.3. აკუმულატორი A-mega Special 65 A/h 0 278x175x190 – 1 (ერთი) ცალი, ღირებულებით 130 (ას ოცდაათი) ლარი.

3.4. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (საქონლის მიწოდების ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო სამუშაო დღე), მიწოდების ადგილი: „იბერია ტექ ავტომოტივი“-ს საფირმო მაღაზია, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N36.

4.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება, საქონლის მოწოდებისთანავე უნდა გაფორმდეს „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

6.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4. „მიღება-ჩაბარების“ აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის

წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი დადგენილ ვადაში;

7.1.2. მიაწოდოს ,,შემსყიდველს” უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. და 6.4. პუნქტების შესაბამისად;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის რაოდენობის კონტროლი;

8.2.2.განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების კონტროლი
13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გიორგი ამზიანი.
13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
13.2.1 მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
13.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა
14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.1.1. ურთიერთვალდებულებების სრულად შესრულებით;
15.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
15.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

17. დასკვნითი დებულებები
17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან.
17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
17.6. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან”.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144, საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	შპს „იბერია ტექ ავტომოტივი“ ქ. მცხეთა, დ. აღამშენებლის ქ. ს/ს „საქართველოს ბანკი“ კოდი BAGAGE22; ს/კ N236093473 ანგარიშის GE29BG0000000153512100
ზაზა რუხაია დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი	ლაშა მიგინეიშვილი აღმასრულებელი დირექტორი

ვიზირებულია: გ. მელაშვილი

ლ. ჭიპაშვილი

ა. ვასაძე

გ. ამზიანი